MES 7 23 0000334386

23/03/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 09.03.2023
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:10 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
5. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
6. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

7. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
9. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
10. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი
11. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
12. ქ**ეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
17. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
18. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ნინო ღაჭავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**თემური თექთუმანიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
5	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დიანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ზაალ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ახიმ ალბრეხტი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
6	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
7	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
8	ნინო ჯავახიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
9	გიორგი ამირანაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V,VI
10	ანა კლებეს-პელისიერი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	ანა გორდეზიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
13	ნინო ხუბულია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	1
2.	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	1
3.	თამარ ლომინაძე		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	1
4.	თინათინ კაიშაური			1

			ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	
5.	დავით ნატროშვილი		მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	1
6.	ალექსი კირთაძე		მათემატიკის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	1
6.	ნინო ყურშუბაძე	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნავიგაციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	2
7.	ზაზა შუბლაძე		საინჟინრო ფაკულტეტის საინჟინრო პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	2
8.	ქეთევან ვაჩეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	3
9.	მაია ჭიჭილეიშვილი		პროფესორი, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	3
10.	მაია კიკვაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.	3
11.	ვეფხვია გვარამია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	4
12.	ლალი გაბისონია		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	4
13.	ედიშერ ფუტკარაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	4
14.	ასმათ გუგავა		სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	4
15.	რომეო გალდავა			4

			უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
16.	ირაკლი სოკოლოვსკი	(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	6
17.	დავით წასიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძვანელი	6
18	ნიკა გიგაური		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	6
19	ირინა ბაქრაძე		სამართლისა და პილოტოკის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	6
20.	მეუფე სპირიდონი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	5
21.	ნაიალა ჩელებაძე		პრორექტორი	5
22.	ელზა ფუტკარაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	5
23	ია შალამბერიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	5
24	თემურ ტუნაძე		ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	5
25	მზია შავაძე		საჯარო მმართველობის და სამართლის ფაკულტეტის დეკანი	5
26	ეკატერინე გელენიძე		ადმინისტრაციის სპეციალისტი	5

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ " გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით

წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
4 სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ "გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
4 სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.პირველი საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 19 ივლისი №60
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ქეთევან ქუთათელაძემ და მარინე მაისურაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურ(ეს)ა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება დაწესებულების მიერ ცენტრში 2021 წლის 31 მარტის წერილით წარმოდგენილი ,,მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. მონიტორინგის მიზანია, ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტი არ განხორციელებულა. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე

თანდართული დოკუმენტები, ასევე დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები. შეფასება განხორციელდა უსდ-ს აკრედიტაციის 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტების შესაბამისად. სამივე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი იყო მათემატიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის დოკუმენტი. დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დოკუმენტში მოყვანილია სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები. სამიზნე ნიშნულების მიღწევის შეფასება ხდება დისერტაციის დაცვის შემდგომ, ანუ წელიწადში ერთხელ. დოკუმენტი ასევე აღწერს სწავლის შედეგების ჩამოყალიბების სპეციფიკას, კურიკულუმის ანალიზს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების შედეგების გამოყენების სპეციფიკას. დაწესებულებამ წარმოადგინა მათემატიკის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის რუკა, რომელშიც ასახულია სასწავლო კურსების ბმა პროგრამის სწავლის შედეგებთან. იმისათვის, რომ უფრო მკაფიო გახდეს აღნიშნული შესაბამისობა, სასურველია გამოიკვეთოს რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა ერთი რჩევა, რომლის მიზანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების დახვეწა.
პროგრამა შედგება 6 არჩევითი სპეცკურსების ჯგუფისგან - მათემატიკური ფიზიკა, მათემატიკური ანალიზი, დისკრეტული მათემატიკა, რიცხვითი ანალიზი, ალგებრა-გეომეტრია-ტოპოლოგია, მათემატიკური სტატისტიკა. პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს არანაკლებ 2 წლის განმავლობაში, რაც მოიაზრებს დისერტაციის შესრულებას და საჯაროდ დაცვას. დისერტაცია უნდა იყოს დოქტორანტის ორიგინალური ნაშრომი, რომელიც ასახავს სამეცნიერო სიახლეს და პასუხობს სფეროს თანამედროვე აქტუალურ მიღწევებს. პროგრამას ახორციელებს 18 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 16 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი. აქედან დაწესებულებასთან აფილირებულია 13 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელების რაოდენობაა - 9. პროგრამაში ჩართულია 4 მოწვეული პერსონალი.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადახადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, თუ რომელი სემესტრიდან იწყება დისერტაციაზე მუშაობა, ვინაიდან მოცემული საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის გამოკვეთილი.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების მიხედვით, პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში, ამასთან, სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებიც განისაზღვრება საერთაშორისო პროექტებში ჩართულობით, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა ხდება თუ არა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობლივი ჩართულობა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ დააზუსტა, განსაზღვრულია თუ არა პროგრამის ფარგლებში თანახელმძღვანელის არსებობის საკითხი და რამდენად ხშირია აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა დაწესებულებიდან გამოითხოვეს დოქტორანტების ჩართულობის შესახებ დოკუმენტი, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვინაიდან დოქტორანტები აქტიურად იყვნენ ჩართულები რიგ პროექტებში. გამომდინარე აქედან, მოცემული საკითხი ექსპერტების მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის პირველი წელი სრულიად მიძღვნილია სასწავლო დისციპლინებისადმი, თუმცა აღნიშნული საკითხი მაინც დამოკიდებულია სტუდენტის დონეზე. თუ სტუდენტს აქვს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია დისერტაციაზე მუშაობა შესაძლებელია დაიწყოს პირველივე წელს. სტანდარტულად კი დისერტაციაზე მუშაობა იწყება მეორე წლიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2016 წელს, ამ პერიოდის განმავლობაში კი სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს და გაიმარჯვეს შვიდ ეროვნულ საგრანტო კონკურსში, რომლის ფარგლებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ერთობლივი მუშაობა ხორციელდებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია თანახელმძღვანელის არსებობის საკითხი. თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ასევე სხვა დაწესებულების წარმომადგენელი, რომლის შემთხვევაშიც აუცილებელია ამ პირთან შესაბამისი ხელშეკრულების დადება. რაც შეეხება სიხშირეს, თანახელმძღვანელის არსებობა არც თუ ისე ხშირია, თუმცა, თუ ამას თემატიკა მოითხოვს, სავსებით შესაძლებელია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:28

დასრულების დრო: 16:34

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

16:33- საბჭოს სხდომას შეუერთდა თამარ ზარანდია

2.მეორე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ" გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი საზღვაო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ბათუმი 6010, რუსთაველის ქ. N53
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურ(ეს)ა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 2 თებერვალს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სამაგისტრო პროგრამას „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“ შვიდი წლით მიენიჭა აკრედიტაცია და დაწესებულებას დაევალა შესასრულებელი რეკომენდაციების შესახებ ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენა. არსებული მდგომარეობის ანალიზის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა რეკომენდაციებზე მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა. თითოეულ რეკომენდაციაზე განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოს მოცულობა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, მაკორექტირებელი გეგმის შემუშავებას და ეფექტურ განხორციელებას კოორდინაციას უწევდა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და კურიკულუმის კომიტეტთან ერთად. რეკომენდაციების და რჩევების შესრულების მტკიცებულებები ასახულია საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე. ანგარიშის მომზადებას კოორდინაციას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით, კერძოდ ნორმატიულ დოკუმენტი „სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა“ შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტთან, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად. ნორმატიული დოკუმენტის დანართიდან ამოღებულ იქნა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა, რომელიც ჩანაცვლდა "სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის ფორმით“. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება კომისიური წესით, ჯამური შეფასება განისაზღვრება მაქსიმუმ 100 ქულით, ჩამოყალიბებულია მკაფიოდ განსაზღვრული 5 შეფასების კრიტერიუმი, სადაც თითოეული შეადგენს მაქსიმუმ 20 ქულას. იდენტური ცვლილება გათვალისწინდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების ნაწილში.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ ასევე უზრუნველყო საბჭოს გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ასახული რჩევების შესწავლა და მათი გათვალისწინების მიზანშეწონილობის ქმედებების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ ერთი წლის განმავლობაში დაწესებულებამ მოახდინა ექსპერტთა და საბჭოს წევრთა მიერ განსაზღვრული რჩევებისა და რეკომენდაციების შესრულება და შესაბამისი ცვლილებების გატარება. კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველ რიგში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა. ამისათვის შემუშავდა კითხვარი და საზღვაო აკადემიის ღონისძიებების მართვისა და სტუდენტთა სერვისების დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა კვლევა. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ: გემთმფლობელები, მეზღვაურები, კრუინგული კომპანიები.

ამასთან, საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე წარდგენილი იყო სამაგისტრო ნაშრომების თემები, რომელთა შესრულების დროს კვლევით კომპონენტში მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი და გათვალისწინებული დარგის მიმდინარე და უახლესი ტენდენციები - თანამედროვე ალტერნატიული, ეკოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენების საკითხები. კვლევითი კომპონენტის გაძლიერების კუთხით საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში მაგისტრანტთა ჩართულობის გასაძლიერებლად წარდგენილია ნაშრომები რეცენზირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომების შეფასებას, როგორც აღინიშნა, მოხდა აღნიშნულის მოდიფიკაცია, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება კომისიური წესით, ჯამური შეფასება განისაზღვრება მაქსიმუმ 100 ქულით, ჩამოყალიბებულია მკაფიოდ განსაზღვრული 5

შეფასების კრიტერიუმი, სადაც თითოეული შეადგენს მაქსიმუმ 20 ქულას. იდენტური ცვლილება გათვალისწინდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების ნაწილში.
გარდა ამისა, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ცნობადობის და გამოყენების მიზნით, მომზადებულია პოსტერების სერია, რომლებიც დეტალურად აღწერს საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისა და გამოყენების წესებს. მაგისტრანტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ სხვადასხვა მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს. ჩაატარა ტრენინგი სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა შიდა ხარისხის განვითარების მექანიზმები და განმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით შემუშავდა სარეკომენდაციო სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ჩეკ-ლისტი, რომლის შესაბამისადაც სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასდება, რეგულაციებით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულება. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას, ანგარიშვალდებულების ზრდას შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტს შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მტკიცებულებებში მითითებული აქვს საზღვაო შრომის ბაზრის ტენდენციები და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია დანართი 1, რომლის ბოლო გვერდიც მთავრდება ხუთი კითხვით რომელიც დაესვა გარკვეულ პირებსა და ორგანიზაციებს, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა მხარეებს საკითხის დაზუსტებისკენ. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის თემებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულების ნაწილში მტკიცებულებად წარმოდგენილია საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა იქნა განსაზღვრული მოცემული სხდომის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ დანართში წარმოდგენილია კითხვები, რომლებიც იქნა დასმული დამსაქმებლებისთვის და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის. ამასთან, წარმოდგენილია ასევე დანართი 2, სადაც მოცემულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. მოცემულ დოკუმენტში განხილულია თუ ვინ იყო გამოკითხული, რა რაოდენობით, ასევე რამდენი დასაქმებული მეზღვაური ჰყავთ, მათ შორის ის მეზღვაურები, რომლებიც არიან საინჟინრო პროფილით. რაც შეეხება სხდომის ოქმს, შინაარსიდან გამომდინარე მის ფარგლებში განხილული იქნა თემატიკა და წარმოდგენილი იყო სამაგისტრო ნაშრომების დასამტკიცებელი თემები, რომლებიც ეხებოდა თანამედროვე ტენდენციებს დარგში.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:53
დასრულების დრო: 17:02
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ " გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ " გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

3.მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	IV
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ზ. გორგილაძე/ვაჟა-ფშაველა 19/32, ბათუმი 6010 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2022 წლის 12 დეკემბერს, რაც განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში, კერძოდ, ექვსთვიანი ვადის ფარგლებში აკრედიტაციის მინიჭებიდან (2022 წლის 24 ივნისი). რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფი. სწორედ ამ ჯგუფმა უზრუნველყო ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ჯგუფმა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით დაამუშავა და გაითვალისწინა ექსპერტთა დასკვნის შედეგები და მიიღო ადეკვატური ზომები რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებისა და შესრულებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია სრულიად იქნა გათვალისწინებული და შესაბამისად გატარდა აუცილებელი ცვლილებები. ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა აქტიურად არ ხორციელდება და ჯერ არ ჰყოლია სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რატომ არ მუშაობდა ეს პროგრამა მათ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უსდ-ს წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ბათუმში ფაქტობრივად არ არის ოსურ, სომხურ, აფხაზურ და აზერბაიჯანულ ენოვანი მოსახლეობა. მათ განაცხადეს, რომ დადიან რეგიონებში და რეკლამას უკეთებენ ყველა პროგრამას, ავრცელებენ სკოლებში ინფორმაციას, არიგებენ ფლაერებს, თუმცა უნივერსიტეტის არსებობის განმავლობაში მათ სტუდენტი არ ჰყოლიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:17

დასრულების დრო: 17:32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

4. მეოთხე საკითხი : სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№291499, მარტი 26, 2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	**ა. პოლიტკოვსკაიას N61, თბილისი, 0186, საქართველო პირველი სასწავლო კორპუსი.**
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- თამარ ზარანდიამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ამჟამად მოქმედი პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2021 წლის 12 მარტს. პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და პროგრამისა და სილაბუსების, ასევე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის თანახმად, რეკომენდაციები შესრულდა. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა სტრუქტურირებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს კომპეტენციების გამომუშავებას და იმ კვალიფიკაციის შეძენას, რასაც პროგრამა და მისი შედეგები გულისხმობს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სრულად აქვს საბჭოსა და ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებული.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მიეთითოს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები.
2. გაიზარდოს პერსონალის განვითარებაში პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენება და შეფასების შედეგები აისახოს პერსონალის განვითარების აქტივობებში.
3. **3.** რეკომენდებულია, რომ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების შეფასების ანალიზი მოხდეს ინდივიდუალურად და არა ერთიან ანალიტიკურ დოკუმენტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და მზად არის შესაბამისი ცვლილებების გასატარებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა 2.2 კომპონენტთან მიმართებით არსებული რჩევა, რომელიც ეხებოდა მემორანდუმში რაოდენობების მითითების საკითხს, კერძოდ აღნიშნული წარმოადგენს ვალდებულებას, შესაბამისად მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რატომ იქნა აღნიშნული საკითხი განსაზღვრული რჩევის და არა რეკომენდაციის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ განსახილველ პროგრამას წარმოადგენდა საბაკალავრო პროგრამა, ხოლო მემორანდუმებში რაოდენობების მითითების ვალდებულება

განსაზღვრულია სამაგისტრო პროგრამების პრაქტიკული ნაწილისთვის. აკრედიტაციის სტანდარტისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის ურთიერთმიმართების შედეგად, ექსპერტთა მიერ საკითხი განსაზღვრული იქნა რჩევის სახით, ვიანიდან სამართლის დარგობრივი მახასიათებელი საბაკალავრო დონეზე არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:50

დასრულების დრო: 18:13

ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის შეფასება, კერძოდ 2.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2026 წლის 01 ივლისამდე.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მიეთითოს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები.
- მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა;
- გაიზარდოს პერსონალის განვითარებაში პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენება და შეფასების შედეგები აისახოს პერსონალის განვითარების აქტივობებში.
- რეკომენდებულია, რომ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების შეფასების ანალიზი მოხდეს ინდივიდუალურად და არა ერთიან ანალიტიკურ დოკუმენტში.

რჩევები:

- გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ამოწმებს საერთაშორისო კრიტერიუმებს პროგრამის მოდიფიკაციისთვის, შესაძლოა სასარგებლო იყოს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კურსის კლასტერების იდენტიფიცირება, რომელთა გავლის

შემთხვევაში სტუდენტისთვის შესრულდება სპეციალიზებული და „სერტიფიცირებული პროფილური დარგი“, რაც დაეხმარება სტუდენტს მიიღოს სპეციალობა კონკრეტულ დარგში და ეს გამოარჩევს ამ კურსდამთავრებულს სხვა კურსდამთავრებულებისგან.

- სასურველი იქნებოდა უცხოელი მეცნიერებისა და სტუდენტების ჩართვა არსებული პროგრამისა და კურსების გაცნობაში, ახალი იდეების მისაღებად და სამიზნე ნიშნულების დასაკმაყოფილებლად.
- შეიძლება სასურველი იყოს, პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მოკლედ და კონკრეტულად ჩამოყალიბება.
- სასურველი იქნება, უფრო ვრცელი, დეტალური გეგმების შემუშავება, თუ როგორ მოხდეს მორგება ინოვაციურ სწავლებასთან ელექტრონული სწავლების მეთოდებით, რომლებიც სწრაფად ვითარდება და აძლიერებს სტუდენტების კვლევით შესაძლებლობებს, მათი კვლევის შედეგების ჩვენების შესაძლებლობით (მაგ. სტუდენტის მიერ რედაქტირებული „სამართლის მიმოხილვა“)
- ვინაიდან სასწავლო პროგრამა ასევე კონცენტრირებულია ევროკავშირის სამართალზე, სასურველი იქნებოდა თუკი დაინერგებოდა პრაქტიკული კურსი მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს განაჩენების თაობაზე, რაც მრავალმხრივ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ECHR-ის გადაწყვეტილებები.
- გაგრძელდეს პერსონალის საერთაშორისო საქმიანობის აქტიური მხარდაჭერა.
- პროგრამის რესურსების შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს პროექტორების რაოდენობა კლასებში და შემდგომ გააუმჯობესოს სასწავლო მართვის სისტემის ფუნქციონალობა, როგორც ზემოთ აღინიშნა.
- კვლევის დაფინანსების მიზნით, დაინერგოს შიდა საგრანტო კონკურსები
- სასურველია, ყველა გამოკითხვა ელექტრონული ფორმით ჩატარდეს.

5.მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N274699 (23/03/2021)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ვიზიტი განხორციელდა ZOOM კონფერენციის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა 2023 წლის 6 თებერვალს.
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს რამდენად რეალური და მიღწევადია 12 მიზანი ერთი პროგრამის ფარგლებში;
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შემდგომი განვითარება;
3. უზრუნველყოფილი იყოს, რომ პროგრამა ითვალისწინებდეს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, რათა გაუმჯობესდეს პროგრამის მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა;
4. უსდ-მ იზრუნოს ენობრივი უნარების განვითარებაზე და უცხო ენების სწავლების გაძლიერებაზე;

5. განახლდეს სილაბუსში მითითებული ლიტერატურა, რათა პროგრამა ითვალისწინებდეს კვლევის უახლეს მიგნებებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.
6. პერიოდულად განახლდეს და გაუმჯობესდეს სასწავლო კურსები, მათ შორის ახალი გამოცემებითა და ონლაინ რესურსებით; ი პერიოდულად განახლდეს საბიბლიოთეკო რესურსები;
7. გამოინახოს მარტივი და ეფექტური გზები იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა სამართლებრივ სიახლეებზე;
8. საერთო ჯამში, ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის არსებითი ნაწილი მოძველებულია და აუცილებელია მისი განახლება.
9. რეკომენდებულია, დაინერგოს დეტალური გეგმა, რომელშიც გაიწერება საჭიროებები, შესაძლო აქტივობები და პასუხისმგებლობები, ასევე დროის განრიგი, დაფინანსების სასურველი ზრდის და ფინანსური აგენტების მოძიების კუთხით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ბიუჯეტი.
10. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნდა გაძლიერდეს, დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს ინფრასტრუქტურულ და პროგრამულ ადაპტაციასთან და განხორციელდეს.
11. იმისათვის, რომ უსდ მიჰყვეს მისთვის სასურველ გზას მეტი ინტერნაციონალიზაციისკენ, უნდა დაინერგოს საერთაშორისო ოფისი, პერსონალისა და სტუდენტებისთვის გამიზნულ ერასმუს პლუსის პროგრამებთან და ზოგადად მობილობის აქტივობებთან კავშირებით. ვებგვერდზე ინფორმაცია არ არის ინგლისურ ენაზე. ეს უნდა შეიცვალოს. საჭიროა ინგლისურენოვანი კურსების აგება იმისათვის, რომ უსდ-მ მოიზიდოს და მოემსახუროს შესაძლო შემომავალ სტუდენტებს.
12. მკაფიო გახდეს პერსონალის წახალისებისთვის განკუთვნილი ხარჯების მიზანი და კრიტერიუმები (ბიუჯეტის მიხედვით, 2500 ლარია და ამის საპირისპიროდ მითითებული, პროფესიული და სამეცნიერო განვითარებისთვის განკუთვნილი 2000 ლარი).
13. უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, რათა ის ასახავდეს პერსონალის დატვირთვის ყველა აუცილებელ კომპონენტს, მათ შორის სტუდენტთა კონსულტაციის საათებს და სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას.
14. უზრუნველყოფილი იყოს, რომ PDCA-ის სრული ციკლი შესრულდეს და ხარისხის შეფასების შედეგები განხორციელდეს პროგრამის განვითარების მიზნით.
15. უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყოველი სემესტრის დასასრულს, სტუდენტებმა შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსი, რათა შემდეგ გაანალიზდეს შეფასების შედეგები და გამოიყენებოდეს სასწავლო კურსების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
16. მკაფიოდ განისაზღვროს სააუდიტორიო დაკვირვების პროცედურა და ინსტრუმენტების როლები და მათი გავრცელების სფერო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში; უზრუნველყოფილი იყოს ამის განხორციელება და გამოყენება;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აქტიურად დაიწყო რეკომენდაციების შესრულებაზე ზრუნვა, კერძოდ გაიწერა რეკომენდაციების შესრულების ვადა და გეგმა. შედარებით მარტივი და დროში სწრაფად მოსაგვარებელი საკითხი არის ლიტერატურის განახლება. საკითხთან მიმართებით დაწესებულებამ მიმართა აკადემიურ პერსონალს, რომლებისგანაც მიიღო განახლებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

რაც შეეხება ხარისხის შიდა მექანიზმების საკითხს, დაწესებულება მანამდეც ახორციელებდა მოცემულ პროცესს, თუმცა ამჟამად მას უფრო სისტემატური და რეგულარული ხასიათი მიეცემა.

ინტერნაციონალიზაციისა და ინგლისური ენის კომპეტენციის საკითხი შედარებით ფართოა. დაწესებულებას აქტიურად ჰქონდა მსჯელობა საკითხთან დაკავშირებით და ერთ-ერთ გამოსავლად მიიჩნია, რომ აკადემიურ თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამოცხადების დროს უპირატესობა მიენიჭოს იმ პერსონალს, რომელსაც აქვს ინგლისური ან სხვა უცხო ენის კომპეტენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, რატი რატიანმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების მიხედვით დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული დონის როსტოვის უნივერსიტეტთან, შესაბამისად დააზუსტა რატომ დაინტერესდა დაწესებულება, აღნიშნული ინსტიტუციით. ამასთან უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩატარდა კონფერენციაც.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომს აქვს არჩევითი სტატუსი, შესაბამისად დააზუსტა თუ რით არის აღნიშნული განპირობებული.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა ლიტერატურის განახლებას, შესაბამისად დააზუსტა თუ როგორ აპირებს უნივერსიტეტი აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას და აქვს თუ არა ბიუჯეტი გათვალსიწინებული თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის შესაძენად და შემდგომ მისი თარგმნისთვის.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ დააზუსტა თუ რა გეგმა აქვს დაწესებულებას აკადემიურ გუნდის გაძლიერების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში არ ჩანს ბმა აკადემიურ პერსონალსა და სილაბუსს შორის, შესაბამისად მნიშვნელოვანია რამდენად აქვს აკადემიურ პერსონალს კვლევები სამართლის კონკრეტული დარგის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით ინგლისური ენის სწავლება იწყება B1 დონიდან, თუმცა იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ეროვნულ გამოცდებზე არ აბარებს ინგლისურ ენას, მას შეუძლია დამატებით ორი სემესტრის განმავლობაშ გაიაროს ინგლისური A1-A2 დონეები, მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გამოიწვევს ინგლისური ენის სწავლების გახანგრძლივებას . გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ ხდება მოცემულ შემთხვევაში კრედიტების განაწილება. ამასთან, საბჭოს წევრმა ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში არის მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც პროფესორის სახით არის წარმოდგენილი, შესაბამისად, დააზუსტა აღნიშნული არის უნივერსიტეტის პოლიტიკა თუ მხოლოდ პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა მსგავსი შემთხვევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომდგენელმა მემორანდუმთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებამ მიიღო შემოთავაზება დონის როსტოვის უნივერსიტეტისგან, თავად უნივერსიტეტის რექტორი არის წარმოშობით ქართველი. შემოთავაზების შესაბამისად, უნივერსიტეტის უზრუნველყოფდა საცხოვრებელსაც ქართველი სტუდენტებისთვის და აუცილებლობის შემთხვევაში საკომუნიკაციო ენის სწავლებასაც, თუმცა თანამშრომლობა პანდემიის გამო შეჩერდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება აქტიურად გეგმავს ევროპის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, ამისთვის უნივერსიტეტში უკვე შეიქმნა საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც პერიოდულად განახორციელებს კონტაქტს ევროპის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, პროგრამის მიხედვით მოცემული არის არჩევითი კომპონენტი, დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე. შესაბამისად, დაწესებულებამ მისცა სტუდენტებს შესაძლებლობა, თუკი მათ ექნებათ სურვილი აირჩიონ მოცემული კრედიტ მოდული.

ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებამ განაახლა ლიტერატურის ძირითადი ნაწილი, თუმცა პერიოდულად მოხდება განახლება და ლიტერატურის ჩანაცვლება, რისთვისაც ასევე გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერა.

აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების მიღებისთანავე დაიწყო გეგმის შედგენა და განიხილა პროფესორებთან ლიტერატურის განახლების საკითხები. როგორც აღინიშნა, პროგრამას აქვს ცალკე ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ლიტერატურის განახლება და შევსება. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის ენობრივ ბარიერს, ამ კუთხით შემოღებული იქნება შესაბამისი კურსი პროფესორებისთვის, რათა სამომავლოდ აღმოიფხვრას მოცემული პრობლემა. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის მოზიდვის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ დარგი არ არის ახალი, საკმაოდ რთულია კვალიფიციური პერსონალის მოძიება, რომელიც შეძლებს ლექციების წაკითხვას, ვინაიდან ძირითადად აღნიშნული პირები პრაქტიკაში არიან ჩართულნი. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს აქტიური მოლაპარაკებები აწარმოოს აღნიშნულ პირებთან, რათა მოხდეს მათი მოწვეული ლექტორების სახით პროგრამაში გათვალისწინება.
ინგლისურ ენასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ზემო აჭარაში მდებარეობს და ატარებს რეგიონულ ხასიათს, შესაბამისად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში ინგლისური ენის სწავლება, სწორედ ამიტომ არის მოცემული აღნიშნული ჩანაწერი პროგრამაში. თუმცა მოცემული გულისხმობს ჯგუფური ფორმატითა და დაჩქარებული წესით საწყისი დონის სწავლებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაწერის არსებობის მიუხედავად, მსგავსი პრაქტიკა დაწესებულებაში არ განხორციელებულა.
რაც შეეხება ადამიანური რესურსების საკითხს, აკადემიური პერსონალი არჩეული იქნა პროფესიული და გამოცდილების ნიშნით, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:13
დასრულების დრო: 19:35
ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის შეფასება, კერძოდ 2.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლოს პროგრამისათვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლისა და 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2026 წლის 01 ივლისამდე, 2024 წლის 09 სექტემბრამდე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს რამდენად რეალური და მიღწევადია 12 მიზანი ერთი პროგრამის ფარგლებში;
- უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შემდგომი განვითარება;
- პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, რათა გაუმჯობესდეს პროგრამის მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნდა გაძლიერდეს, დაზუსტდეს და შესაბამისობაში მოვიდეს ინფრასტრუქტურულ და პროგრამულ ადაპტაციასთან;
- განახლდეს სილაბუსში მითითებული ლიტერატურა, რათა პროგრამა ითვალისწინებდეს კვლევის უახლეს მიგნებებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.
- პერიოდულად განახლდეს და გაუმჯობესდეს სასწავლო კურსები, მათ შორის ახალი გამოცემებითა და ონლაინ რესურსებით;
- გამოინახოს მარტივი და ეფექტური გზები იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა სამართლებრივ სიახლეებზე;
- მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა.
- უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, რათა ის ასახავდეს პერსონალის დატვირთვის ყველა აუცილებელ კომპონენტს, მათ შორის სტუდენტთა კონსულტაციის საათებს და სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას.
- რეკომენდებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვა;
- უსდ-მ განაგრძოს ძალისხმევა ენობრივი უნარების განვითარებისა და უცხო ენების სწავლების გაძლიერების მიმართულებით.
- მკაფიო გახდეს პერსონალის წახალისებისთვის განკუთვნილი ხარჯების მიზანი და კრიტერიუმები
- საერთო ჯამში, ბიბლიოთეკის ლიტერატურა არსებითია, მაგრამ ლიტერატურის ნაწილი მოძველებულია და უნდა განახლდეს.
- რეკომენდებულია, დაინერგოს დეტალური გეგმა, რომელშიც გაიწერება საჭიროებები, შესაძლო აქტივობები და პასუხისმგებლობები, ასევე დროის განრიგი, დაფინანსების სასურველი ზრდის და ფინანსური აგენტების მოძიების კუთხით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ბიუჯეტი.
- უზრუნველყოფილი იყოს, რომ PDCA-ის სრული ციკლი შესრულდეს და ხარისხის შეფასების შედეგები განხორციელდეს პროგრამის განვითარების მიზნით.
- უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყოველი სემესტრის დასასრულს, სტუდენტებმა შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსი, რათა შემდეგ გაანალიზდეს შეფასების შედეგები და გამოიყენებოდეს სასწავლო კურსების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები:

- შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- უნივერსიტეტმა მეტი შესაძლებლობა უნდა შესთავაზოს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.
- პერსონალის დასაქმებისას (აფილირებული ან მოწვეული), შესარჩევმა კომისიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს კანდიდატების ინგლისური ენის ცოდნაზე, რათა ხელი არ შეუშალონ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას, რომელიც დიდწილად, ენობრივ უნარებზეა დაშენებული.
- სასურველია, თუკი დაინერგება საერთაშორისო სტანდარტის „Moodle“-ი როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო პლატფორმა სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

- სასურველია, თუკი ყველა სახელმძღვანელო და არამხოლოდ ძირითადი სახელმძღვანელოები იქნება ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში, როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული ფორმით, რაც უზრუნველყოფს უკეთეს კვლევასა და გაგებას.
- კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პროცესი, რათა ამან მოიცავს პროგრამის სტრუქტურა (რამდენადაც ეს შეიძლება ვრცელდებოდეს სამართლის პროგრამაზე), სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სხვა უნივერსიტეტებში არსებული მიდგომები და უზრუნველყოფილი იყოს ანალიზი.

6.მეექვსე საკითხი : ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 19 მარტის №258053 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ფანჯიკიძის N1 / პეკინის გამზირი N42ა, ქ.თბილისი, 0105, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, დეტალურად გაიწეროს და საჯაროდ გამოქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ვადების შესახებ, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის(ების) თაობასა და ინფორმაციის განთავსების გონივრულ ვადებზე, და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ეს უნდა განთავსდეს ვებგვერდზე.
2. იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს აქტიური პრაქტიკა, გაძლიერდეს კავშირები პროგრამის შესაბამის ორგანიზაციებთან და გაფორმდეს მემორანდუმები დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შერჩევის წინაპირობებსა და წესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ორგანიზაცია თავად შეარჩევს სტუდენტებს; ასევე განისაზღვროს შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების მინიმალური რაოდენობა და სახეობა.
3. უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩაიწეროს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი აკადემიური პერსონალისა და პირის წახალისება მოხდება სამოტივაციო და წამახალისებელი მექანიზმებით და დეტალურად აღიწეროს განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამას შემუშავებული აქვს საერთაშორისო სამართლის დარგობრივი გამოცდის საკითხები, სადაც დეტალურადაა გაწერილი საგამოცდო თემატიკა, მოსამზადებელი სარეკომენდაციო ლიტერატურა და

შეფასების სისტემა შესაბამისი კრიტერიუმების მითითებით. უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად სამაგისტრო პროგრამის მიღების გამოცხადებამდე 2 თვით ადრე ვებგვერდზე საჯაროდ ქვეყნდება საგამოცდო საკითხები, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით საგამოცდო საკითხები უკვე განთავსებულია ვებგვერდზე. ამრიგად, სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებას.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, უნივერსიტეტს საერთაშორისო სამართლის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, აღსანიშნავია, რომ გასულ წელს დამატებით გაფორმდა სამი მემორანდუმი დარგობრივ ორგანიზაციებთან. ამასთან გვსურს განვმარტოთ, რომ უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის ხედვას, რომ აქტიური პრაქტიკის ეფექტური განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციების მრავალფეროვნება, რა მიმართულებითაც უნივერსიტეტი კვლავ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკის ობიექტებზე ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტებს შესაძლოა მოუწიოთ სხვადასხვა ტიპის დარგობრივი პრაქტიკული დავალებების შესრულება, პრაქტიკის სილაბუსში არ არის გაწერილი კონკრეტული დავალების ტიპები, თუმცა გაწერილია შეფასების მოთხოვნები და ის მინიმალური სწავლის შედეგები, რომლებიც სტუდენტებს პრაქტიკის გავლის შემდგომ გამოუმუშავდებათ.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა კვლევით საქმიანობაში, სწორედ ამიტომ GIPA-ში უკვე სავალდებულო სახით არის დამკვიდრებული და უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალის სამეცნიერო დატვირთვა და განსახორციელებელი აქტივობები, მათ შორის პერსონალის მიერ მაღალ-რეიტინგულ, იმპაქტ-ფაქტორიან და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში კვლევების გამოქვეყნების აუცილებლობა. ამასთან კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, GIPA-ს კვლევის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სთავაზობს მათ სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსებას, აცხადებს სახელმძღვანელოების შემუშავებისთვის გრანტებს, აფინანსებს პერსონალის მობილობებსა და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯებს და სხვა ინსტრუმენტებით ეტაპობრივად ხელს უწყობს პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის ამაღლებას. ამასთან, უნივერსიტეტის კვლევის დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით ახორციელებს მიღებული შედეგების მონიტორინგსა და ანალიზს, რაც გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა პრაქტიკის საკითხი და განმარტა, რომ დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, აუცილებელია მემორანდუმებში დეტალურად იყოს გაწერილი მხარეთა უფლება-ვალდებულებები და ასევე სტუდენტების ზუსტი რაოდენობა, თუმცა ზოგიერთ დოკუმენტში მსგავსი რამ სრულად არ ფიქსირდება, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკის კომპონენტი გადის სხვადასხვა ეტაპს, კერძოდ სტუდენტმა უნდა აწარმოოს დღიური და წარმოადგინოს ხელმძღვანელის შეფასება, რომელიც საბოლოოდ ფასდება დაწესებულების მიერ, კერძოდ სტუდენტი ვალდებულია აღნიშნული დაიცვას კომისიასთან. პრაქტიკის სილაბუსში აღნიშნული საკითხი დეტალურად არის გაწერილი, კერძოდ ეს არის მინიმალური მოთხოვნების სწავლების შედეგებზე გასასვლელად. ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად, კონკრეტული

აქტივობების გაწერა საკმაოდ რთულია, კერძოდ წინასწარ არ არის ცნობილი თუ სად წავა სტუდენტი პრაქტიკის ობიექტზე და რა საქმეზე მოუწევს მუშაობა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი რაოდენობები და პირობები მემორანდუმების უმეტეს ნაწილში გაწერილია, რაც სრულიად საკმარისის არსებული სტუდენტებისთვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:56

დასრულების დრო: 20:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, კერძოდ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას 7 მარტს გაუვიდა აკრედიტაციის ვადა, მნიშვნელოვანია საბჭოს გადაწყვეტილება იმგვარად იყოს დაფიქსირებული რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის უწყვეტი აკრედიტაცია. შესაბამისად მიზანშეწონილია საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 06 მარტს.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2026 წლის 01 ივლისამდე, 2024 წლის 06 მარტამდე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, დეტალურად გაიწეროს და საჯაროდ გამოქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ვადების შესახებ, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის(ების) თაობასა და ინფორმაციის განთავსების გონივრულ ვადებზე, და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ეს უნდა განთავსდეს ვებგვერდზე.
- იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს აქტიური პრაქტიკა, გაძლიერდეს კავშირები პროგრამის შესაბამის ორგანიზაციებთან და გაფორმდეს მემორანდუმები დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შერჩევის წინაპირობებსა და წესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ორგანიზაცია თავად შეარჩევს სტუდენტებს; ასევე განისაზღვროს შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების მინიმალური რაოდენობა და სახეობა.
- უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩაიწეროს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი

აკადემიური პერსონალისა და პირის წახალისება მოხდება სამოტივაციო და წამახალისებელი მექანიზმებით და დეტალურად აღიწეროს განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცესი.

რჩევები:

- უმჯობესი იქნება, თუკი დასკვნითი გამოცდის გადასალახი ზღვარი უფრო მაღალი იქნება.
- ხელი შეეწყოს საერთაშორისო მობილობის უფრო მეტად გამოყენებას;
- პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო/ადგილობრივ სამედიცინო/სამეცნიერო ღონისძიებებში;
- ასევე სასურველია, უსდ-მ მომავალში უზრუნველყოს, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ, რეგულარული სამეცნიერო პროდუქტის შექმნა;
- მიზანშეწონილია გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა;
- პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან უფრო ხშირი და ინტენსიური ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების ჩართვა
- დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ კანონთან დაკავშირებული ყველა მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია, მაგალითად hein-online და lexisnexis

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 09 მარტის 20:10 საათზე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი